მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო– საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომა

ოქმი №5

ქ. მარტვილი 6 ივნისი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო 12^{00} სთ-ზე, დამთავრდა 13^{00} სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ზურაბ მელიავა, ლევან სურმავა, ირაკლი დიხამინჯია, ვლადიმერ დანელია, მიხეილ ნაჭყებია.
სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ მელიავა.
კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა კომისიის წევრებს საკითხის წინ გაევლოთ რეგისტრაცია.
რეგისტრაცია გაიარა კომისიის 5–მა წევრმა.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ ზურაბ მელიავამ დღის წესრიგი გააცნო სხდომის მონაწილეებს.

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების პირველი კვარტლის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე;
/მომხსენებელი- ზურაბ მელიავა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე/
პირველი საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა კომისიის 5–მა წევრმა.
მოისმინეს 1: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ზურაბ მელიავას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების პირველი კვარტლის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.
მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების პირველი კვარტლის ანგარიში.
კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა კომისიის წევრებს აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
კომისიის წევტებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რის შემდეგაც კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასვა მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების პირველი კვარტლის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 4. წინააღმდეგი 1.
კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: მოწონებულ იქნას .მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების პირველი კვარტლის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე საკითხი და ჩაითვალოს მომზადებულად საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: ზურაბ მელიავა